

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. მარჯვნივ მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію „Дროზდა“.

გაზეთის უსანი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., ხანისთვის— 3 მ., ერთს თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

უსანი განცხადებისა: დროებად მიიღება მთელის წლისა— 5 მ., ნახევარისა— 4 მ.

რედაქციას უზღუდა აქვს გასწორება და შეამოკლოს დასაბუთებად განცხადებები. დაუბუღებულ სტატიებს ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

სომეხი დღე მრშაბათს გარდა

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში— ბაღის (სადოვის) ქუჩაზე შ. შადინოვის სახლში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дрозда“.

უსანი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდონ, გაგზავნილი— ხუთი მანეთი.

თფილისის ქალაქს უბრავე სთხოვს ყველას, ვისაც ტრაქტორები და საზოგადოთ სასმელების დუქნები და დასადგომი სახლები აქვს ქ. თფილისში, რათა 5 და 6 ნკენისთვის, დილის 10 საათზედ მივიდნენ ქალაქს საბჭოს ხალაში დეპუტატების ამოსარჩევლად თანხმად 22 და შენიშვნის 59 სტ. პოლოქ. ტრაქტ. და დუქნების, ტრაქტორებისა და საზოგადოთ დასადგომი ადგილების მქონე პირთაგან შემდგეი ოთხი წლისთვის აქციის რასკლადკისთვის.

(3—3)

ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 31 აგვისტოს. აქ მოვიდა შერთისტანიდამ ამბავი, რომ ამასში, სიკასის ვილაიეტში, ხალხის არეულობა მომხდარა; აქ დასახლებული ჩერქეზები ურდო-ურდოთ დადიან სოფელ-სოფელ და ხოცვენ და სცარცვენ განსაკუთრებით ბერძნებსა. მსმალოს ჯარი აქ იმდენი არ არის, რომ უწყსოება მოსპოს.

ლონდონი, 30 აგვისტოს. ბომბეი-დამ (ინდოეთიდან) მოვიდა ამბავი, რომ ავღანის მძირი იაკუბ-ხანი აჯანყებულ ავღანელებმა მოკლესო; სხვები კი ამბობენ, რომ იაკუბ-ხანმა თვითონ მოიკლა თავიო.

ლონდონი, 31 აგვისტოს. ქაბული-დამ სხვა-და-სხვა ნაირი ამბები მოდის.

ავღანის სამზღვარზე და შანდარში კი მშვიტობიანობა არია.

კაბულებურდი, 1 სექტემბერს. შინაგან საქმეთა მინისტრი მაკოვი დროებით წავიდა პეტერბურგიდამ; იმის თანამდებობა მარტინოვს აქვს მინდობილი.

გაზეთს „ბოლოს“ ხელ-ახლად მისცეს ნება-რთვა ცალკე ნომრების გასყიდვისა.

საქართველო

დღიური

მოგვყავს ადრესი, რომელიც მობუღეთის (მინტრიშის) მაზრის მცხოვრებლებს მიუერთმევიათ დიდის მთავრის ძავეასის ნამეტნიკისათვის, როდესაც ის ბრძნდებოდა ბათუმში:

„თქვენო იმპერატორებით უშაღლესობაე!

„მთელი ხალხი მინტრიშის მაზრისა გულ-წრფელად განარებულია თქვენის უშაღლესობის მობრძანებით ჩვენს ქვეყანაში და სარგებლობს ამ შემთხვევით, რომ თქვენის საშუალებით გამოუცხადოს დიდ ხელმწიფე იმპერატორს თავის ქვეშევრდომობითი გრძნობანი. ჩვენ ვერ დავიფიწყებთ იმ სიკეთესა და ყურადღებას, რომელიც ამ მოკლე ხანში მივიღეთ თქვენგან.

„ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვიყავით, იც ვიყავით შეკრული, რომ არ შეგვეძლო, ომის დაწყებისა-თანავე, დემორჩილებოდით რუსეთის ხელმწიფეს; ამას გარდა ჩვენ ვერ დავსძლიეთ ჩვენში საუკუნოებით დანერგილი გრძნობა, და პატრონათ ვემახსურეთ იმ ხელმწიფეს, რომელსაც ერთგულება შევფიცეთ.

„რა უბედურება გამოვცადეთ, რა ნაირად ვართ აკლებული და აოხრებულნი, — ყველა ეს თქვენს უშაღლესობას კარგათ მოვხსენება. მათვედა თუ არა ომი, მოხდა თუ არა შერიგება, რომლის ძალითაც ჩვენი ქვეყანა შეუერთდეს რუსეთს, იმწამსვე დაგვიმტკიცეთ და დაგვანახეთ, თქვენო უშაღლესობაე, რომ თქვენ არ გვარჩევთ ჩვენ დანაჩინ რუსეთის ქვეშევრდომებში. თქვენი წყალობა არ მოგვაკლდა: თქვენის ბრძანებით ჩვენ დაგვირიგდა სიმინდი და ოცი ათასი მანეთი ფული; რომლითაც ახალ მოსავლამდინ გამოვიდოდით.

„ამისთანა წყალობა არ დავიწყებ, და ჩვენ გთხოვთ მოახსენოთ მოწყალე იმპერატორს, რომ ჩვენ ისეთივე ერთგულნი ვიქნებით იმისი, როგორიც ვიყავით ხონტქრისა და რომ, თუ ხელმწიფეს მოუხდა ჩვენი სამსახური ამ შემთხვევაში მთელი ჩვენი ხალხი მზათ არის თავის ქონება და სისხლი შესწიროს იმას.“

* * * მუთარისდამ გვატყობინებენ, რომ შალაქის რჩევას გარდაუწყვეტია ამ დღეებში, რომ ერთს იქაურ ეპაროთავანს უფ. პ. ხარაზოვს მისცეს ქართი, ოთხი წლის ვადით, (წელიწადში ას მანეთად), საქალაქო ადგილი, ახლანდელი ცირკის პირ-და-პირ, სადაც იმან უნდა ააშენოს შენობა, რომელშიაც იქნება ერთი დიდი ზალა თეატრისა და თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისათვის და აგრეთვე რამდენიმე უფრო წვრილი ოთახი. სხვა პირობათა შორის რჩევას დაუდგია უფ. ხარაზოვისათვის, რომ ქართულ წარმოდგენებისათვის ეს ზალა, განათებით, მებელით და ყველა მოწყობილობით, სადამოში არა უმეტეს სამის თუმნისა მიაქირავოს.

* * * მუთარისდამვე მოგვივიდა ამბავი, რომ შეიტყეს თუ არა იქაურ ქართული სცენის მოყვარებმა, რომ თეატრი შენდებოა, იმწამსვე საშუალო ტრუპის შედგენას შეუდგენო. ამ საგნის შესახებ, სცენის მოყვარებმა ჰქონიათ კრება, ამოუჩვენიათ პირები, რომელთაც უკისრნიათ საშუალო ტრუპაში მონაწილეობის მიღება, ამოუჩვენიათ რეჟისორი და დაუნიშნათ ხუთი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც უნდა შეადგინოს წყუდება მომავლის სამუდამო ტრუპისა.

ამ საგანს ჩვენ ამ მოკლე ხანში უფრო დაწვრილებით შევხებით; ახლა კი ვისურვებთ, რომ მუთარისის სამუდამო ტრუპაში მონაწილეობის მიმღებთ მაგრა მიეკიდნოსთ ამ საქმისათვის ხელი და ამათის შემწევობით იქაური ქართული სცენის საქმე მკვიდრს საფუძველზედ დამყარებულყოს.

* * * ჩვენ გეთხოვენ შემდეგი, თელავი-დამ მიღებული, შენიშვნა დაბეჭდოთ გაზეთში:

„17-ს მარიაპოლისთვის იყო თელავში სამუსიკო და სალიტერატურო სადამო ქართველი სტუდენტების სასარგებლოთ. ჩვენდა სასიხარულოდ, თელავის სა-

ზოგადობამ დიდად თანავიგრძნო ამ აზრის აღსრულებას და არავის არ დაჰზარებია შექმნება მოცეცა, ვისაც შეეძლო მონაწილეობის მიღებით და დანარჩენს თავის შეძლების-და-გვარად გაედლო რამე შორეულის შეილის ანუ ძმის სასარგებლოდ; ასე რომ ზალა, არამც თუ გაიშო, ბევრი უკანაც დაბრუნდა ულაგობის მიზეზით.

„სამწუხარო ერთი ეს არის, რომ ძველსა და ახალს ჩამომავლობას შუა ისე დაკარგულა ნდობა, თუ ყოფილა როდისმე, რომ ბევრნი ეჭვში არიან, მივა მათგან გადადებული ფული დანიშნულს ალაგს თუ არა; და თუ მივა—ამაოდ არ ჩაივლის. რას მოსდევს ამისთანა უნდობლობა, ან საბუთიანია თუ არა—ამის გამოკვლევას ეხლა ვერ შეუდგები; რადგანაც ეხლა დრო არ არის ამ საგანზე ბაასისა; მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ საზოგადოთ ეხლა ყოველი ყმაწვილი კაცის მიზანი (შორეულებზედ მოგახსენებთ) ის არის, რომ სული და ხორცი არ დაჰზოგოს, ყოველ გვარი ცდა იხმაროს, რომ ფარსავი შეილი გამოუყვიდეს და ამაოდ არ ჩაუტაროს ამაგი თავის თავად დაობლებულს საყვარელს დედას—სამშობლოს.

„იმედია, დროთა ყველაფერი თავის კანონიერს წესზე დადგება და მომავალში აღარც მამა დაჰზოგავს ამაგს თავის შეილისათვის და აღარც შეილი იქნება გულ-ნაკლულად დედ-მამის უამაგობაზედ.

„ამ შემთხვევაში ყველას შეუძლიან დარწმუნებული იყოს, რომ ამ საღამოს

გონდებოდა ახლანდელი ჩემი მდგომარეობილი ფული ჯეროვანს ალაგს გაიგზავნება.

ა ნ გ ა რ ი შ ი .

ბ ა ი ყ ი დ ა

პრესლო პირე. რიგ. — 8 — 40	მან. კაპ.
მიდგმული — — — — 3 — 15	„
მეორე რიგ. — — — — 8 — 32	„
მიდგმული — — — — 1 — 4	„
მესამე რიგ. — — — — 8 — 24	„
მიდგმული — — — — 2 — 6	„
მეოთხე და მეხუთე რიგ. 22 — 44	„
მიდგმული — — — — 3 — 6	„
სკამი 1—8 რიგ. — — 60 — 60	„

231

ამას გარდა მეტი მოგვეცეს — 9

სულ—240

დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ი .

მსტრადის გასაკეთებელი — 12	„
საზანდრებს — — — — 10	„
მუშას — — — — 10	50
წერილმალში — — — — 5	50

სულ — 38

დარჩა ხარჯს გარდა—202 მან

ი. ანდრონიკაშვილი.

ს. მელაანი, 25-ს აგვისტოს.

* * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ოარი ახლად ჩვენს ქალაქში გამოსული წიგნი:

ერთი რუსულს ენაზედ უფ. ა. ჩინკელის მიმოხილვა ჩუროქის „მეორე ქართული წიგნი“ და მეორე ქართული წიგნი „მეორე ქართული წიგნი“ შედგენილი უფ. ა. თიმოზა ჯუღელისაგან.

პირველი ამ წიგნთაგანი არის მგზავრის შენიშვნები ახლად-შემოერთებულ მსამალოს საქართველოს. ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს გარდა, რომელნიც ავტორს ტრაპიზონის კალენდრიდან და ზოგიერთ სხვა წიგნებიდან ამოუკრებია, ამ წიგნში ისეთი ახალი რამ არა არის-რა, რაც ჩვენმა მკითხველებმა არ იციან მსამალოს საქართველოზე. რუსის მკითხველებმა კი იქნება ბევრი რამ საინტერესო ცნობები ნახონ.

„დედანი“ უფ. ანთ. ჯუღელისა სრული და უნაკლულო ქმნილება არ არის და ეს არც მოსალოდნელი იყო თითქმის პირველად ამგვარ გამოცემულ სახელმძღვანელოსაგან; მაგრამ რაც უნდა იყოს, ის უიჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სასოფლო შკოლებს და საზოგადოთ ყველას, ვინც ქართულის წერა უნდა ისწავლოს ანუ ასწავლოს.

ლიტოგრაფია ცოტა არ იყოს კოჭლობა; მაგრამ მთელისათვის ესეც კარგია.

წიგნი ერთ-აბაზათ ისყიდება,—ძირი არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩვენში ნახატების ამოჭრა და ლიტოგრაფია ერთობ ძვირად ჯდება ხოლმე.

ამ წიგნზე იმედი გვაქვს შემდეგში ცოტათი უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

ფელტონი

ბავშვი

(ნათარგმნი მოთხრობა *)

მე საჩქაროთ დავარწმუნე ჩემი თანამოგზაური ქალი, რომ იმისი მოცემული პაპიროსის თუთუნი ძალიან გემრიელია და მშვენიერი სუნიც უდის. თუმცა პირველში ძალიან უგემური და საძაგელი მეჩვენა, მაგრამ ეს ქვრივი ისეთი ლამაზი და მშვენიერია, განა შემიძლო დამეწუნა იმის მშვენიერი, პატარა ხელებით მოცემული რამე!

დადგა სიხუმე. ჩვენ ჩუმათ ვეწვოდით თუთუნს. მე რაღაც ფუფუნებაში და განცხრობაში ვიყავი; მთელ სხეულში რაღაც სასიამოვნო გრძობამ და მოსვენებამ გამიარა. მგრძობდი, რომ შეყვარებული ვარ და სულ იმას ფიქრობდი, თუ როგორ უნდა განუცხადო ეს ამ ჩემ მშვენიერ თანამოგზაურს.

მაგრამ ხანდის-ხან თითქო ყველაფერი მავიწყდებოდა. მეჩვენებოდა, თითქო ძალიან დიდი ხანია ვავლილი მას აქეთ რაც ეს ქალი ენახე. მერე კიდევ მომა-

რეობა. დავიწყებდი სიყვარულის განცხადების სიტყვების მოგონებას...

ერთბაშათ, ჩემდა საუბედუროთ, ძილი მომეკიდა... მცდილობდი გავმხნეებულყოფ და, ჩემდა ბედათ, დავრწმუნდი, რომ ის არ ატყობს ან ცდილობს, რომ არ შეამჩნიოს, რომ მე ძილი მერგვა; სრულებით არ მიყურებდა ამ დროს. იმისი დიდრონი მშვენიერი თვალები თითქო შორს უყურებდნენ; იმას, როგორც მე, ყველა გარეშე დაავიწყდა; ისიც რაღაც განცხრობაში იყო ჩემსავით. „რო მქონდეს მე ეხლა ოცი ათასი მანეთი შევირთამდი ამ მშვენიერ ქალს და ჩემისთანა ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არავინ იქნება“,—ფიქრობდი მე ჩემს გუნებაში.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ ღონე არა მქონდა, რომ ჩემ მდგომარეობიდან გამომსულვიყავ და ისევ რაღაც უცნებაში ჩავარდი და სხვა-და-სხვა სასიამოვნო სურათები მიდგებოდა წინ...

თუმცა ძალიან სუსტათ ვიყავი, ნახევრად მიძინებული და გაუგებარ მდგომარეობაში, მაგრამ ძალიან კარგათ ეხედვდი ამ მშვენიერ ქალს, რომელიც როგორღაც ჩაფიქრებული იჯდა ჩემს პირდაპირ. ის ექვსი-შვიდი წლით ჩემზე უფროსი უნდა ყოფილიყო; მაგრამ მე თავის დღეში არ მყვარებია ახლგაზდა

ყმაწვილი ქალები, რომელნიც გამოვლენ თუ არა სიყმაწვილის ხნიდამ და ქალობაში შეველენ, სულ მარტო იმას ფიქრობენ, რომ მალე გათხოვდნენ. პირიქით მე მომწონდა დამწიფებული ხილი; ამაში იყო ბევრი პატივისცემა ბუნებით თვისებები... „ღიან მე მეგონა, რომ ეს სახე აღრეც მქონდა გულში ჩახატული და ბოლოს ძლივს შეხვდი ჩემს იდეალს, რომელსაც ისე დიდხანია ვეძებდი. ძალიან ბედნიერი ვიყავი მე ეხლა!..“

მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა არის ეს? სადა ვარ? რა მემართება? მე ერთბაშათ გამოვფხინდლი...

შკანკალებდი სიცივისაგან. მთაში სრული სიბნელი იყო; მხოლოდ ფანჯარებიდან შემოიჭვრიტებოდა ქუჩაში ანთებული ფანრის სინათლე.

ასე გონია მაცივებდა. შამარი ძალიან ჩქარა მიცემდა თავიო მტკიოდა...

როგორც იყო მივედი ფანჯარასთან და აქ ფიქრი მომივიდა და დავიწყე მოგონება... სად არის ჩემი თანა მოგზაური? რას ფიქრებს ის ამგვარ ჩემს ქცევაზე? რაც ღონე მქონდა, ჩამოვრეკე ზარა.

—სად არის ის ქალი, რომელთანაც მე ვისაუფხმო? მკითხე საჩქაროთ შემოსულ მოსამსახურეს.

*) „დროება“, № 181.



* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ თ. ლ. ბ. მრისთვის შემდეგი პიესები გადაუკეთებია და გადაუთარგმნია ქართულს ენაზე:

1) „მ. რ. დანი და ლეკვი“ — ჭარსი-კომედია 4 მოქმედებად, ალექსანდროვისა (Откуда сыр-борь загорѣлся).

2) „სადავო მფლობელობა“ — კომედია 3 მოქმედებათ—3. ალექსანდროვისა (Лакомый кусочек) და

3) „მეთილი და უმანკო ანგელი“ — კომედია 3 მოქმედებად—ვერეტევი 3. ალექსანდროვისა (Ангель доброты и невинности).

და იმასთან იმ იმედით, რომ იპოვნიდა შემრალეებს და დანმარებს.

— მე ხნიერი კაცი ვარ; მძიმე მონღობილება ამის მეტი აღარ შემხვდება, — განსაკუთრებით ვეცდები სანაქებოთ გავათავო სუყველასთვის ეს ექსპედიციაო! — ასე ამბობდა მიცვალებული ღენ. ლაზარევი.

აქნობამდი ახალ-ტეკეს ექსპედიციის ჯარი, გარდა მოწინავე ჯარისა, სულ ჩიგიშლიარში იდგა; მხოლოდ ესლა დაიძრა და მიდის წინ, ღენ. ლაზარევიც ამ ჯარს გამოყვა, თუმც დასუსტებულმა წინანდელ ავთამყოფობით, გაჭივრებით ჩამოაწია ჩაღამდი, სადაც შეიქმნა თავის მუყაითობის მახვერბლათ.

ჯარი არ შეჩერებულა; გარდაცვალებული ლაზარევის მაგივრათ, ღროებით ღენერალ ლამაკინი დარჩა და შემდგისათვის უთუოთ დაინიშნება ვინმე. (როგორც იცის მკითხველმა, ლაზარევის მაგივრად ღენ. ტერ-ლუკასოვი დაინიშნა).

აპბობენ, ლაზარევი იმედობდა, რომ ღენობისთევი გაათავებდა ამ ექსპედიციას; მაგრამ ესლა ვინ იცის როგორ და როდის დაბოლოვდება. ამ უბედურმა შემთხვევამ არ გააგრძელოს დრო ამ ექსპედიციის გაათავებისა არ შეიძლება.

3. ამაშუყლი.

„დროების“ კორმსკონდმენცი

ბმის-მკანი, 15 აგვისტოს. (ახალ-ტეკეს ატრიადილამ). ღოზოლოშიდგან ღენერალ ლამაკინის მოწერილობამ ძრიელ ცუდი ამბავი მოგვიტანა. ბუშინ გვაცნობეს ღენერალ-ადიუტანტის ლაზარევის მოსვლა ჩაღში და ღღეს აქ მოველოდით, რომლისთვისაც გამზადებული გვეყავდა საპატიო ყარაული. ღღეს რვა საათზე დილით ლამაკინის გამოგზავნილმა ტურკმენმა გვაცნობა ღენერალ ლაზარევის გარდაცვალება ჩაღში. ამაზე უმფრო საწყენს არას გაიგონებდა ჩვენი ჯარი; ყველა ძრიელ ადღელვა ამ მოულოდნელმა და უეცარმა ამბავმა.

მიცვალებულმა საკვირველი საყოველთაეო სიყვარული დაიმსახურა ამ მცირე ხანში; მისი იმედი ისე ქონდათ, როგორც კეთილი მამისა; ყველა გაჭივრებული თამამათ დაიმედებული მიდიო-

ქართული თეატრი

„რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და „იპვიანი“.

პირველად ქართულმა სამუდამო ტრუპ-

ის ამ სამი საათის წინათ წაბრძანდა, მიპასუხა მოსამსახურემ და მიბძანა, რომ არ შეაწუხოთ, არ გიაღვიძოთ ჩემი ძმაო, ესე იგი თქვენ, რადგან თქვენთვის საჭირო იყო მოსვენება, ზღვის ავთამყოფობის შემდეგ. თქვენი და რალაც ნივთების საყიდლათ გაიხლათ.

ბაკვირვებით უტყვეროდი მე მოსამსახურეს. რომელი ჩვენგანია გიჟი, — ვფიქრობდი მე, — ის თუ მე? უნებლიეთ მიუხანლოვდი სარკეს; ჩავინებლო, ხომ არა ფერი ცვლილება არ მოხვდა ჩემში.

უეცრად ბეჭედი მომაგონდა. ღაეიხედე მარჯვენა ხელზე... მითზე ბეჭედი აღარ არის!.. ძინაღამ გულს არ შემომეყარა! ხმის ამოუღებელად დავეშვი კრესლანზე და წავივლე თავში ხელი. ბიჭს უეჭველია ეგონა, რომ მე ზღვაში მოგზაურობისაგან კიდევ გულის-რევა მაქვს და გაიქცა წყლის მოსატანად...

რალა ბევრი გაეაგრძელო: მეორე ღღეს ცხრა საათზე, როგორც მომნანებელი ცოდვილიანი გინახავთ ვიდექი ისე მამი-ჩემის წინ და ვცახცახებდი შიშთა და სირცხვილით...

მამა-ჩემმა წყნარად და ხმა ამოუღებქლად მოისმინა ჩემგან ბეჭდვის დაკარგვის ნამდვილი ისტორია, (ყველაფერში გაუტყდლი); მხოლოდ, როგორც ვატყობდი, ხანდის-ხან ღიმილი მოსდიოდა ტუჩებზე.

ბოლოს როდესაც მე გავათავე ლაპარაკი, იმან ამოიღო სტოლის კოლოფილამ პატარა ყუთში ჩადებული ბეჭედი და მხიარულის სიცილით მითხრა:

— აჰა ბეჭედი! მთელი და ხელ უხლებელია, როგორც ჰხვდავ!.. ბევრს ნუ სწუხნარ...

— რაო?! მს არის? საიღამ ჩავივარდათ თქვენ ისევ ხელში ეს ბეჭედი! ღაეიყვირე გაკვირვებით, რადგან ვერაფერი ვერ გამეგო.

— შენ რომ ძალეს სასტუმროში დავეძინა, შენმა მშვენიერმა თანამოგზაურმა წავადრო ხელილამ ბეჭედი, წავიღა იქილამ, ჩაჯდა ღუკრში მომავალ ხომალდში და დაბრუნდა ისევ ღონღონში. ბუშინ საღამოს ეს ბეჭედი იმ ქალმა უკანვე მომიტანა.

— მე თუ მომპარა, შენ როგორღა მოგიტანა! სწორეთ ვერა გამიგია-რა.

პამ გახსნა წელს წამრმოტყენის ტუჩებში და სიამოვნებით ვატყუებდი კარგათუ გახსნა.

ამ პირველ შემთხვევისათვის ტრუპ-პამ წარმოადგინა კ-ნა ბარბარე ჯორჯადის სამ-მოქმედებიანი კომედია „რას ვეძებდი და რა ვპოვე?“ და თ. რაფ. მრისთვის ერთ-მოქმედებიანი ვოდეილი „იპვიანი“.

მს იყო პირველი დებიუტი ახლად შემდგარის ტრუპისა, როგორც ტრუპისა, და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ; რომ ამ ტრუპას შეუძლიან თამაში, შეუძლიან თამაში უფრო სერიოზული პიესებისაც, ვიდრემ ეს შემოხსენებული პიესები არიან. ცხრა კაცში, რომელნიც ქართულ სამუდამო ტრუპას შეადგენენ ახლა, ამ წარმოდგენაში ექვსმა მიიღო მონაწილეობა და თითქმის ყველამ ისე შესარულეს თავის როლები, რომ ტრუპა არც ერთს არ შეურცხვენია.

სუსტი იყო მხოლოდ ჩვეულებრივ უფ. მაჩაბელი და მ. შიფიანის ქალი. ჩვენ გვეგონა, რომ უფ. მაჩაბელი ამგვარს (მებატონის, თავადის, დამჯდარი კაცის) როლებში მაინც გამოდგებოდა. სამწუხაროდ აღოჩნდა, რომ აქაც კოჭლობს; იმის უბედურება ის არის, რომ რიგიანი მიხრა-მოხრა არა აქვს და ბუნებითად, დაუმახინჯებლად, დაუგრესხვად ერთ სიტყვასაც ვერ იტყვის სცენაზე.


მ. შიფიანისა, როგორც დრამატიული აქტრისა, ჩვენის აზრით გამოუსადეგარია. პ-ნა ბარბარე ჯორჯადის კომედიაში ის თამაშობდა ვადას-გადასულ გასათხოვარ ქალის როლს; თვითონ როლი ძალიან კარგი ხასიათიანი და კარგი სათამაშო როლია. მ. შიფიანის ქალმა ვერ გამოხატა ამ როლში ვერც

— სულ უბრალო საქმეა. შენი მშვენიერი უცნობი ქერივი ქალი საიდუმლო პოლიციაში მსახურებს; იმის ხელობა ურდების დაჭერა; მე დავიქირავე ის-იმ განზრახვით, რომ ეს კომედია მოეხდინა შენთვის, რომ გამომეცადნა — თუ რამდენათ ბეჯითად შეგიძლია შენიმედი იქონიო შენის თავისა და შესარულლო რომელიმე მძიმე მონღობილობა. შენ ისე მალლა მოგქონდა, ჩემო ქედუარდ თავი, ისეთი გადაჭარბებული თავმომწონე იყავი, რომ მინდოდა ცოტა მაინც დამემციერებინა ეს შენი თავმომწონობა, და თუ კი შევასრულე ეს, მე არ ენანობ ამისათვის ფულების დახარჯვას...

მე სრულიად შერცხვენილი დავრჩი; თავ-ჩაღუნული ვიდექი მამის-წინ.

— მაგრამ შენ რო არ იფიქრო, რომ მამა-შენი წინ-დაუხვდავად მოქმედებდა, შეიძლებოდა ეს ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი დაკარგულიყოფო, გეტყვი, რომ ეს ბეჭედი სრულიად არ არის არც ბრილიანტისა და არც ძვირფასი, ეს ყალბი ბეჭედი!

(დასასრული)



ეს ხასიათი და ვერც ის მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხის კლო, რომელიც ამგვარ „დავარდნილ“ გასათხოვარ ქალს შეჰყფიან; ახირებულად იმანქებოდა ის დალოცვილი, გალობით ამბობდა სიტყვებს, — და ეს ხომ თამაში არ არის.

მარდა ამ ორისა ყველა მოთამაშეების თავის როლებს ასრულებდნენ და თავის ადგილზე იყვნენ. მანსაკუთრებით უფ. ვ. აბაშიძეს და ნ. ბაბუნიას ქალს ბევრი ტაშის-კერა და „ბრაგო“ ეძღვნა იმ ესტეტიკური სიამოვნებისათვის, რომელიც მოგვეცეს იმათ თავიანთ ჩინებულის ნიჭიერის დაპაშობათ. მე არ მიზნახავს, რომ ჩვენს სცენაზე სხვას ეძღვრა წარმოდგინოს ისე ხელოვნურად სიზაჯის ანუ საზოგადოთ წერილი სიმხის კინტო-ვაჭრის როლი, როგორც უფ. ვ. აბაშიძემ წარმოადგინა. არ მიზნახავს აგრეთვე, რომ მაჭანკლის როლი ნ. ბაბუნიას ქალზე უკეთ, უფრო არტისტიკულად აესრულებინოს და უფრო ნამდვილად წარმოადგინოს. ამგვარი როლებისათვის ბაბუნიას ქალი მართლა შეუდარებელი და დაუფასებელი მოთამაშეა.

სიამოვნებით შევნიშნეთ ამასთანავე, რომ ის დარიგება და შენიშვნა, რომელიც მისცეს ბაბუნიას ქალს (გადაწყვეტილ ყვირილზე, ერთობ მომეტებულ თამაშობაზე და სხვ. წერილად ნაკლულენანებაზე), ამ შენიშვნებს ტყუილბრალოთ არ ჩაუვლია ამ მოთამაშისათვის. ვისურვებთ, რომ ამგვარი თვისება სხვა მოსამაშეებმაც შეიძინონ.

თვითონ პიესა ბ. ჯორჯაძისა ჩვენ ძალიან მოგვეწონა. მშვენიერის ენითაც, მზნარსითაც და სცენის მხრითაც ის არც ერთ ჩვენ ბ. პირსთვის დროინდელ პიესებს არ ჩამოუდგება უკან და ზოგიერთ მათგანს ბევრათაც სჯობიან.

„იჭვინის“ თამაში თავიდან კარგათ მიდიოდა; ორივე, ვ. აბაშიძეც და ნ. აბაშიძეც — საფაროვისა, ჩვეულებრივს

სიცხველითა და ნიჭით ასრულებდნენ თავიანთ როლებს. მაგრამ შუა პიესაში უფ. აბაშიძესა უღელში უფარდებოდა და ამ გარემოებამ თითქმის სრულიად გაუფუჭა ამ ცოცხალი პიესის წარმოდგენის ეფექტი.

ამწინაოდ ორივე პიესა თითქმის ყველა მოთამაშეებმა უწაკლულოდ, თანხმობით და რიგიანად წარმოადგინეს. ეს, სხვათა შორის, იმასაც უნდა მიეწეროს, რომ, როგორც ვთქვამოდა, მოთამაშეებს ამ შემთხვევაში უფრო კეთილ-სინდისიანათ მოუკიდნიათ თავიანთ როლების შესწავლისათვის ხელი და უფრო კარგათ იყვნენ მომზადებულნი სცენაზე გამოსასვლელად. სასურველია, რომ კვლავაც ამ სიტყვების გამეორება შეგვძლებოდეს, რომ სამუდამო ტრუჰპამ არ დაივიწყოს. რომ, რაც უნდა ნიჭიერის მოთამაშეებისაგან იქმნეს ის შემდგარი, თუ კარგათ და ყოველ მხრავ არ შეისწავლა ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალ-ცალკე სათამაშო პიესა და თავის როლი, იარნი ამითი თავის საქმესაც გააფუჭებენ და საზოგადოებასაც შეაფუჭებენ ქართულ თეატრს.

განცხადება

საქმავწილო ბაღი და ელემენტარული უკოლა. სოლოლაკზედ, მელიამინთვის ქუჩაზედ, თ. ამაღუნის სახლებში მიღება და ეკვამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიყება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ. საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვ-

ბი ორივე სქესისა, რომელნიც, წინააღმდეგობით 4-დამ 7 წლისანი დაწებრან უკოლაში კი—7 წლიდამ 14 წლამდრი.

— ამ უკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიანთ შევიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში!

(6—6)

ქართული ჟურნალის სასწავლო ლექსი

(პროპოსი) სურათებით უედ. ან. ჯუღელიდან გამოვიდა და ისეიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარკვიანის, შართანის და ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიებში, ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურის ლუქანში და აბაშიძეში უფ. ანტ. ძეველიანთან უკოლაში,

ოზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,

ხონში: უფ. ჯალაგანიძისთან, ბორს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

სიღნაღს: უფ. ძ. ბალაშვილთან. შასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

(5—4)

რძ. ბზა.	ღილა.	საღამ.	II კ.	III კ.
თფილისი ..	9 21	5 18 8	კაბ. მ. კაბ.	
მცხეთა . . .	10 11	6 27 -	85 -	44
ზორი	11 58	9 43 3	1 53	
ხაშური . . .	1 29	11 57 4	73 2	42
სურამი . . .	1 44	4 90	2 61	
შერტილა . .	5 49	7 21	3 69	
რონი	6 57	8 44	4 31	
სამტრედია .	7 51	9 66	4 93	
ახალ-სენაკი	8 43	10 71	5 47	
შოთი	9 50	12 24	6 26	
შოთი	9 3			
ახალ-სენაკი.	10 14		1 53 -	78
სამტრედია .	11 5		2 61	1 33
რიონი	12 13		3 84	1 97
შერილა . . .	1 18	ღამე.	5 3	2 56
სურამი . . .	5 12		1 10 7	34 3 74
ხაშური . . .	5 39		1 37 7	51 3 84
ზორი	7 5		4 8 9	24 4 73
მცხეთა . . .	8 50		6 59 11	39 5 82
თფილისი . .	9 31		7 5 6 12	24 6 26

ტელეგრაფი	მანკაბ.	მაზანდა
მტი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 9 აგვისტ.
დავასიის აქთა მხრის ყველა ქალაქებში	50	უკე. თეთ. ბანჯისა ფუთ. 240
როსტოვს, მდგესს, მოსკოვს; პეტრბურღს, მარშავს	2	უკე. წითელი 170
მსმაღერიში, შვეიცარიაში	3	შერ. ფუთი 135
იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაბა მრევნისა, ფუთი. 840
ინგლისში	3 75	— ამერიკისა, ფუთს . 930
ვოჩბა		ბავენტლი ბაბა ფუთი. 1060
ა) თფილისიდან; საზღვარგარეთ, მუთისს, რუსეთს—კოველ დღე კვირს გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. ბუთშ. მზურ. — პარასკ. და ორშ.		
ბ) მუთაი-სიღამე; თფილისისა და შოთისაკენ—კოველ დღე კვირას გარდა. მზურ. გეთს—ორშ. და პარასკ.		
წიგნის გავზუნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: ლა წიგნის 3		
დაბეჭდილის (სამი მისხალი) 7		
მაზანდა		
თფილისი 9 აგვისტ.		
შერ. თეთ. ბანჯისა ფუთ. 240		
უკე. წითელი 170		
შერ. ფუთი 135		
ბაბა მრევნისა, ფუთი. 840		
— ამერიკისა, ფუთს . 930		
ბავენტლი ბაბა ფუთი. 1060		
მატყელი თუშური ფუთი. 850		
— თრაქამისა ფუთი . 420		
აბრეშუმ-ნუხური სტ. 210		
მონი ფუთი 620		
მონის სანთელი ფუთი. 750		
სტეპარინის სანთელი ფ. 1180		
ხორცი ძოხისა ღიტრა		
— ცხვისა, ღიტრა		
სპირტი ვედრო 450		
შაქარი ბოტყ. ოფთ. 710		
— ფენილი ფუთი 570		
შავა რველი გრე 65		
შეთი ქუხუთისა ფუთი. 1580		
თამბაქო საშუალო ფთ. 680		

თფილისის სამაშურნალო.
მანკაბ.
პრეფ. მ. იღ., წინ. მძღვ. როგ. სახლი. ავთიმოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
მრ შ ა ბ ა თ ს: ლისივეი და ბარ. ლეიჩი—შინავ. ავთიმოფობის.
ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვეი შინავ. ავთიმოფ.; რეიხი—თვლის, შურავ-ლევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-ბოი—გულისა და შინავ.
მ თ ს შ ა ბ ა თ ს: ლისივეი—შინავ, ასტუ-ც-ტუროვი—ქალისა და ბავშვების ავთიმე.
ხუთ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვეი—შინავ. ავთიმე. და შურავლევი—კანის და ვენერიულის.
პარასკევეს იქნებიან: ლისივეი, შინავ; ასტუ-ც-ტუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაივი—გულისა და შინავ. ავთიმე.
შ ა ბ ა თ ს: შერმიშვეი, შინავ; შურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვლის.